სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 21 აპრილი, 2022
სხდომის დაწყების დრო: 18:00 საათი
ადგილმდებარეობა: დისტანციურად (Zoom პლატფორმა)

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცინო ცხვედიანი, თორნიკე ბაქრაძე, რაისა ლიპარტელიანი, ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი, ია გაბედავა, როინ მიგრიაული, გიორგი ტურაზაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) მარიამ მიქაძის და ელენე გერმანოზაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები

თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ მიქაძის და ელენე გერმანოზაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) რუნარ გუსეინოვის განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ რუნარ გუსეინოვის მ/წლის 6 აპრილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რუნარ გუსეინოვის მომართვასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე, კერძოდ:

- 2018 წლის 2 დეკემბერს რუნარ გუსეინოვმა, მონაწილეობა მიიღო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში და ჩაბარების შედეგად დააგროვა 72 ქულა. მის მიერ გასაჩივრებულ იქნა 5 ტესტური საგამოცდო კითხვა და საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2018 წლის 28 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, მოემატა 1 ქულა.
- რუნარ გუსეინოვი არ დაეთანხმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას და მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომლის 2019 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2018 წლის 28 დეკემბრის სხდომის ოქმი 2 საგამოცდო ტესტურ კითხვაზე ქულის მომატების თაობაზე უარის თქმის ნაწილში და ასოციაციას დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.
- 2019 წლის 25 ივლისს, რუნარ გუსეინოვმა მომართა ადვოკატთა ასოციაციას, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების ცნობად მიღებისა და გაწევრიანების თაობაზე. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით, მისი მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ცნობად იქნა მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისთვის საკვალიფიკაციო გამოცდის ნაწილში 2 ქულის მომატების თაობაზე, ხოლო გაწევრიანების ნაწილში უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის შესაბამისად, ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება წარმოადგენდა ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების ერთ-

ერთ წინაპირობას, სხვა კანონისმიერ წინაპირობებთან ერთად, რომელიც მოცემული იყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლში. შესაბამისად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ავტომატურად არ გულისხმობდა ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებას, თუ არ არსებობდა ერთდროულად სხვა წინაპირობებიც და პირის ნება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე, რაც განმცხადებელს "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების ამოქმედებამდე (01.01.2019 წელი) არ გამოუხატავს. რუნარ გუსეინოვმა ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე 2019 წლის 25 ივლისს მომართა.

რუნარ გუსეინოვი განცხადებაში უთითებდა სხვა საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 3 სექტემბრის #3ბ/1552-21 კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილების თაობაზე, რომლის თანახმად ბათილად იქნა ცნობილი ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, მოსარჩლე მარალ გუსეინოვას ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის ნაწილში, რითაც ასოციაციას დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და პირის ასოციაციაში გაწევრიანება.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ზემოაღნიშნული საქმის გარემოებები მისი შემთხვევის ანალოგიურია და კანონის თანასწორობიდან გამომდინარე, იგი ითხოვდა ასოციაციაში გაწევრიანებას.

წევრებმა გაეცნენ განცხადებას და ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის სამართლიანად განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით, განცხადება გადაეგზავნოს ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტს დარგის სპეციალისტების მიერ დამატებითი სამართლებრივი მოსაზრებების შემჭიდროვებულ ვადაში წარმოსადგენად.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: სხდომაზე დასახელებული საკითხის სრულფასოვნად შესწავლისა და დარგის ექსპერტების მიერ დასკვნის მომზადების მიზნით, რუნარ გუსეინოვის განცხადება გადაეცეს ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტს. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ გრიგოლ თვარაძის და კახა კუხალაშვილის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს

კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს გრიგოლ თვარაძის და კახა კუხალაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამოქალაქო სამართლის კომიტეტის თანა-თავმჯდომარის კანდიდატურის დამტკიცება და კომიტეტში წევრობის მსურველთა განცხადებების განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამოქალაქო სამართლის კომიტეტის თანა-თავმჯდომარის პოზიციაზე კომიტეტის თავმჯდომარის მიერ რეკომენდირებული - რონა ბუბუტეიშვილის კანდიდატურა და ამავე კომიტეტში გაწევრიანების მსურველთა განცხადებები: რომან მამულია, ანნა ბერია, ნათელა კორთხონჯია, რომლებიც ასევე რეკომენდირებულია კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამოქალაქო სამართლის კომიტეტის თანა-თავმჯდომარის პოზიციაზე რონა ბუბუტეიშვილის კანდიდატურა და ამავე კომიტეტის წევრებად - რომან მამულიას, ანნა ბერიას და ნათელა კორთხონჯიას კანდიდატურები.

საკითხი 4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თბილისში მოქმედ ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში წევრობის მსურველთა განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ თბილისში მოქმედ ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების მიზნით წარმოდგენილ თინათინ მერკვილაძის განცხადებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ წარმოდგენილი კანდიდატურა რეკომენდირებული იყო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ და ასევე, კომიტეტის წევრთა რაოდენობაც არ იყო შეზღუდული.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის თბილისში მოქმედ ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის წევრად თინათინ მერკვილაძის კანდიდატურა.

საკითხი 5. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერთა/ლექტორთა შერჩევის მიზნით, აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერთა კანდიდატურების განხილვა და დამტკიცება.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერთა/ლექტორთა შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერებად, სხვადასხვა სასწავლო მოდულების მიმართულებით, 2022 წლის 19 აპრილს შერჩეულ იქნენ შემდეგი კანდიდატურები: გოჩა გოგიშვილი, ანა ხარაიშვილი, დიმიტრი მჭედლიშვილი, გიორგი გვენეტაძე, ეკატერინე სოლოღაშვილი, პაატა კიკვაძე, სერგი ჯორბენაძე, სოფიო სოხაძე, დავით ღიბრაძე, თამარ ხუბულური, ანა ლორია, თამარ ავალიანი.

ამასთან, წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ რიგ სასწავლო მოდულებზე როგორიც არის: ორატორული ხელოვნება და პრეზენტაციის უნარები და საადვოკატო საქმიანობა/ბიუროს ორგანიზება, კლიენტთან კომუნიკაცია არ შემოსულა საკონკურსო განაცხადები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დასახელებული მიმართულებები მეტად მნიშვნელოვანია პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ეფექტიანად წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაბამისად მიზანშეწონილია იმ მიმართულებებზე, რომელზეც ასოციაციას არ მიუღია საკონკურსო განაცხადები, ტრენერთა შერჩევის მიზნით კვლავ გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს დამატებითი საკონკურსო წესები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება:

- **დამტკიცდეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერთა/ლექტორთა შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერებად 2022 წლის 19 აპრილს შერჩეული კანდიდატურები, სხდომაზე წარმოდგენილი სახით.**
- **პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის სასწავლო მოდულებზე: ორატორული ხელოვნება/პრეზენტაციის უნარები, საადვოკატო საქმიანობა/ბიუროს ორგანიზება და კლიენტთან კომუნიკაცია - ტრენერთა**

შერჩევის მიზნით, გამოცხადდეს კონკურსი და საკონკურსო კომისიის მიერ, განისაზღვროს დამატებითი საკონკურსო მოთხოვნები. აღნიშნული პროცესის ორგანიზება დაევალოს ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 6. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება

წევრები გაეცნენ ქეთი ჩუთლაშვილის, ზურაბ ბეჟაშვილის, ნათია ჩაჩანიძის, შორენა ლოლაძის და ვასილ ბალახაძის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ქეთი ჩუთლაშვილის, ზურაბ ბეჟაშვილის, ნათია ჩაჩანიძის, შორენა ლოლაძის და ვასილ ბალახაძის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 7. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ქეთევან ჩიჩუას განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ არის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილე და ითხოვდა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 9 თვიანი სტაჟირების პერიოდის დასრულებამდე თეორიული კურსის საფასურის გადახდის გადანაწილებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-14 მუხლის 4.3. პუნქტის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის მონაწილის მომართვის საფუძველზე, თეორიული კურსის საფასურის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, სწავლების 3 თვეზე გადანაწილებით. თუმცა, საბჭო ითვალისწინებს განმცხადებლის

ფინანსურ მდგომარეობას და მიზანშეწონილად თვლის განცხადების დაკმაყოფილებას.

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ქეთევან ჩიჩუას განცხადება თეორიული კურსის საფასურის გადახდის გადანაწილების შესახებ, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში 9-თვიანი სტაჟირების კურსის დასრულებამდე.

(ბ) ზურაბ მჭედლიშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ არის მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე წევრი, რომელმაც 2022 წლის 07 აპრილს მიმართა ასოციაციას 50%-იანი საშეღავათო საწევროს გავრცელების შესახებ. განმცხადებელი ითხოვდა 2020 წელს გადახდილი თანხის 200 (ორასი) ლარის გადანაწილებას 2021-2022 წლების საწევრო გადასახადზე, ხოლო 2022 წელს გადახდილი 100 (ასი) ლარის ჩათვლას 2023 წლის საწევრო გადასახადში.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და განაცხადეს, რომ 2019 წლის 31 იანვარს აღმასრულებელის საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი 50%-იანი საშეღავათო საწევროს გათვალისწინებით, ზურაბ მჭედლიშვილზე, როგორც მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე წევრზე 2020 წლიდანაც ვრცელდებოდა აღნიშნული შეღავათი. შესაბამისად, მისი განცხადება ექვემდებარება დაკმყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ზურაბ მჭედლიშვილის განცხადება და 50% -იანი საშეღავათო საწევროს გათვალისწინებით, მის მიერ 2020 და 2022 წლებში გადახდილი საწევრო გადანაწილდეს 2021-2022 და 2023 წლების საწევრო გადასახადზე. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. გადაწყვეტილების ასახვა შესაბამის მონაცემთა ბაზაში დაევალოს ასოციაციის ფინანსურ მენეჯერს.

(გ) ალექსანდრე ამაშუკელის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მასთან პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში სტაჟირების კურსს გადიოდა პროგრამის მონაწილე - გვანცა ბაიდოშვილი, თუმცა სტაჟიორის გადატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, ადვოკატის მხრიდან მაქსიმალური ხელშეწყობის მიუხედავად, სტაჟიორის მიერ ვერ მოხერხდა საჭირო დროის გამოყოფა პრაქტიკული კურსის სრულყოფილად გავლისთვის. აქედან გამომდინარე, ადვოკატმა მიიღო გადაწყვეტილება სტაჟიორთან, ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ნაწილის შეწყვეტის შესახებ და ასოციაციას მიმართა შესაბამისი განცხადებით.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-10 მუხლის, მე-10 პუნქტის თანახმად, თუ სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი უარს აცხადებს გააგრძელოს სტაჟიორის ხელმძღვანელობა, აღნიშნულის შესახებ დასაბუთებული განცხადებით მიმართავს აღმასრულებელ საბჭოს. საკითხის გადაუჭრელობის შემთხვევაში, ასოციაცია უზრუნველყოფს სტაჟიორისთვის ალტერნატიული სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შერჩევას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- **დაკმაყოფილდეს ალექსანდრე ამაშუკელის განცხადება და განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;**
- **ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორს დაევალოს სტაჟიორისთვის ახალი სტაჟირების ხელმძღვანელის შერჩევა;**
- **გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.**

(დ) ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

აღმასრულებელი საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია ასოციაციის წევრის - ხატია კვასტიანის (სიითი#5376) გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით (წარმოდგენილი იყო გარდაცვალების მოწმობის ასლი). მათ განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21^3 მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ცნობად იღებს ასოციაციის წევრის გარდაცვალების ფაქტს და შეაქვს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული ხატია კვასტიანის (სიითი#5376) გარდაცვალების ფაქტი და მონაცამები ამოღებულ იქნას ასოციაციის მოქმედ წევრთა ერთიანი სიიდან.

(ე) ლაშა ჯანიბეგაშვილის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ლაშა ჯანიბეგაშვილის განცხადებას. მათ განაცხადეს, რომ განცხადების შინაარსისა და მასში მითითებული გარემოებების შესაბამისად, იკვეთება რომ საკითხის განხილვა განეკუთვნება ასოციაციის ეთიკის კომისიის

კომპეტენციას და შესაბამისად, აღნიშნული განცხადების ირგვლივ მსჯელობა სცდება აღმასრულებელი საბჭოს უფლებამოსილებას.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-7 პუნქტით და ასოციაციის წესდების მე-15 მუხლის, 15.1 პუნქტით განსაზღვრულია აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობის წესი და უფლებამოსილების სფეროები. ასევე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-7 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტით და ასოციაციის წესდების მე-15 მუხლის, 15.2 პუნქტით დადგენილია, რომ აღმასრულებელი საბჭო ახორციელებს ამ კანონითა და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც „ადვოკატთა შესახებ“ კანონითა და ასოციაციის წესდებით არ განეკუთვნება ასოციაციის სხვა ორგანოების კომპეტენციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, განიხილოს ლაშა ჯანიბეგაშვილის განცხადება და მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ლაშა ჯანიბეგაშვილის განცხადება დარჩეს განუხილველი. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე